ხელშეკრულება №31
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
გამარტივებული შესყიდვა
CPV79952000- ღონისძიებების ორგანიზება
(ექსკლუზიური უფლებამოსილება)

ქ. თბილისი

SMP 160000906

18.03.2016წ.

ხელშეკრულების დამდები მხარეები.

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობა **(ქ. თბილისი, აღმაშენებლის 89/24. ს/კ 253073365, *ტელ: 591 93 05 25, 2159295*)** წარმოდგენილი გამგებლის ლაშა მარგიანის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შ.პ.ს „ეტალონი-მედია“ **(მის. ქ. თბილისი, თაბუკაშვილის ქ. ტელ: 5777 44 24 74)** წარმოდგენილი მისი დირექტორის მანანა ღოღობერიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) ვმოქმედებთ რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე (დანართის სახით2015 წლის 1-ლი ოქტომბრის წერილი N27/11-09 და 2015 წლის 31 დეკემბრის შემოს. წერილი N365 (დანართი 4(ოთხ ფურცლად) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში -„ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება“- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“- პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურეობის“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი.

2.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „მიმწოდებლი“-ს მიერ „შემსყიდველი“-სათვის „საქართველოს ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატში „ეტალონი 2016“, დამკვეთის -აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილი მოსწავლეების მონაწილეობა.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 2016 წლის 18 მარტს, დამკვეთის მიერ წინასწარ შერჩეულ და შეთანხმებულ ლოკაციაზე.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ხელშეკრულების მთლიანი და ჯამური ღირებულება საქართველოს კანომდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით შეადგენს **2960** (ორიათასცხრაასამოცი) ლარს.

3.2. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდი ანგარიშსწორების ფორმით. მიმწოდებლის ს.ს „ბანკი ქართუ“ ბ/კ CRTUGE22 ა/ა GE08CR0030086101003608; ს/ 204572024.

3.3. მხარეებს შორის ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გასაწევი მომსახურების ღირებულების მიღება-ჩაბარების აქტისა გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს მოსთხოვოს მომსახურეობის ანგარიშსწორება, ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდგომ.

3.4 შესყიდვა ხორციელდება აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით.

შემსყიდველი ----------

მიმწოდებელი ----------

მუხლი 4. მომსახურების შესაბამისობა.

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი მომსახურებისთვის უკვე არსებულ სტანდარტებს.

4.2. 4.1. პუნქტში აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს გაწეული მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 5. მომსახურეობის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურეობის მიწოდების ადგილი **ქ.თბილისი, ც. დადიანის N28 საზოგადოებრივი კოლეჯი „ორიენტირი“.**

5.2. მიწოდებული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.3. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული მომსახურეობის შემოწმებას, მიღება-ჩაბარებას და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმებას ახორციელებს აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ზური გუჯეჯიანი.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს დამკვეთის მონაწილეობით ინტელექტუალური კონკურსისთვის კითხვების მომზადება; კონკურსის ადგილზე ჩასატარებლად სპეციალური კომპიუტერული ტექნიკის ჩატანა-გამორთვა;

ბ)ინტელექტუალური კონკურსის ჩატარება განხორციელდება სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონის“ პრინციპით, კონკურსს ჩაატარებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ტექნიკური შემოქმედებითი ჯგუფი.

გ) საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონი 2016-ის“ ფარგლებში დამკვეთის მონაწილეობით ღონისძიების ჩატარებას გაუძღვება „ეტალონის“ ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი.

დ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ე) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 4.1. პუნქტში გათვალისწინებული პირობით;

ვ) უზრუნველყოს მომსახურეობის მიწოდება **2016 წლის 18 მარტს.**

ზ) ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა)უზრუნველყოს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეების წინასწარი ინფორმირება, მოსწავლეების შერჩევა და გულშემატკივრებტან ერტად მათი ლოკაციის ადგილას მოყვანა და ინტელექტუალური კონკურსის ჩატარების ადგილის უზრუნველყოფა.

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესაბამისი გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და წესების შესაბამისად;

გ) მოსთხოვოს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

დ) ნებისმიერ დროს შეამოწმოს შემსრულებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მსვლელობა და ხარისხი, შემსრულებლის საქმიანობაში ჩარევის გარეშე.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

7.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე.

შემსყიდველი ----------

მიმწოდებელი ----------

ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 8. პასუხისმგებლობა

8.1. ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1% არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლს ახდენს შემსყიდველი ორგანიზაცია, აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მთავარი სპეციალისტი თეონა ჩხეტიანი.

9.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

მუხლი 10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

10.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3. ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

10.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება,თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე.

მუხლი 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

11.2. მხარეთა მიერ ოცდაათი (30) კალენდარული დღის განმავლობაში თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში, საქმე გადაეცემა სასამართლოს. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ნორმები.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი და ძალაში შესვლის პირობები

წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი განისაზღვრება ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 30 აპრილის ჩათვლით გარდა ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლისა.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

შემსყიდველი ----------

მიმწოდებელი ----------

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ქართულ ენაზე, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.4. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.5. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

13.6. „მიმწოდებელს“ არ აქვს უფლება „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა.

13.7. ხელშეკრულება დგება სამ თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „მიმწოდებელს“, ხოლო ორი ეგზემპლიარი ინახება „შემსყიდველთან“.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტს გამგეობა მის: ქ.თბილისი, აღმაშენებლის 89/24. ს/კ 253073365 სახელმწიფო ხაზინა ბ/კ TRESGE22 ტელ: +995591 93 05 25 2 159295 e-mail: zemoabkhazeti@gmail.com გამგებელი ---------- /ლ. მარგიანი/ ბ.ა.	შპს „ეტალონი-მედია“ მის. ქ. თბილისი, თაბუკაშვილის ქ. N41 ს/კ 204572024, ს.ს „ბანკი ქართუ“ ბ/კ CRTUGE22 ა/ა GE08CR0030086101003608 ტელ: 577 44 24 74 e-mail: mananaa@etaloni.ge დირექტორი ---------- /მ. ღოღობერიძე/ ბ.ა.